როგორ ვასწავლოთ ბავშვის უფლებები

მშობლებისგან განცალკევება;

ოჯახის გამთლიანება;

უკანონოდ გადაადგილება და გატაცება.

მოამზადა ნინო გვარამაძემ

წინამდებარე რესურსში განახილულია ბავშვის უფლებათა კონვენციის მუხლები (მე-9, მე-11), რომლებიც ეხება სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის ცხოვრება ოჯახურ გარემოში.

თითოეული მუხლის ქვემოთ მოცემულია მისი გამარტივებული ვერსია.

მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი განხილვის დროს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დაშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, ანუ როცა საქმე ეხება, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრებას, გასახლებას, დეპორტაციას ან სიკვდილს (მოცემული პირის სახელმწიფო გამგებლობაში ყოფნისას ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილის ჩათვლით), მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით აძლევს აუცილებელ

ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის მიცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირთათვის) არასასურველ შედეგებს.

ტექსტის არსი

ბავშვი არ უნდა გამოეყოს მშობლებს მათი თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს ბავშვის ინტერესებშია (მაგ.: ძალადობა, უგულებელყოფა). ბავშვს აქვს უფლება მშობლებთან ურთიერთობის შენარჩუნებაზე, თუ ეს მისთვის უსაფრთხოა.

მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლის განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვეს არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მათი ოჯახის წევრებისათვის.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება აქვს, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას, დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციაში აღიარებულ სხვა უფლებებთან.

ტექსტის არსი

თუ ოჯახი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობს, სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი მათ გაერთიანებას. ბავშვს აქვს უფლება, დედასთან და მამასთან ურთიერთობა შეინარჩუნოს, მიუხედავად საზღვრებისა.

მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას.

ტექსტის არსი

სახელმწიფოს მოვალეობაა, დაიცვას ბავშვები „გატაცებისგან“ – ანუ როცა ბავშვები უკანონოდ გადაჰყავთ საზღვარგარეთ და არ აბრუნებენ.

აქტივობები გაკვეთილისთვის

მიზანი

მოსწავლეებმა გაიაზრონ სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ბავშვის საკუთარ ოჯახში ცხოვრების უფლების დაცვა. დაინახონ კავშირი ბავშვის საუკეთესო ინტერესთან.

აქტივობა 1

კითხვები:

- რა მოხდება, თუ ვინმეს აიძულებენ მშობლებისგან შორს იცხოვროს?
- რამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დაშორება ოჯახთან?
- რა შემთხვევაში შეიძლება სახელმწიფომ შეუწყოს ხელი ბავშვის განცალკევებას ოჯახისგან?
- ბავშვის რომელი უფლების საფუძველზე შეიძლება სახელმწიფომ მხარი დაუჭიროს ბავშვის განცალკევებას ოჯახისგან?

ბავშვის განცალკევება ოჯახისგან ხდება მაშინ თუ ოჯახის წევრები ძალადობენ ბავშვზე. ბავშვის განცალკევების გადაწყვეტილება მიიღება მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ, გამომდინარე ბავშვის საუკეთესო ინტერესიდან. ასეთ სიტუაციაში ბავშვი გადაეცემა ახლო ნათესავს, რომელიც მას მეურვეობას გაუწევს ან მინდობით აღზრდაში.

მაგალითი: თუ ბავშვი ცხოვრობს სხვა ქვეყანაში, მას აქვს მშობლებთან კონტაქტის უფლება – ტელეფონით, წერილით, ონლაინ.

კითხვა:

- როგორ იგრძნობდით თავს თუ თქვენი ოჯახის ნაწილი სხვა ქვეყანაში იცხოვრებდა და თქვენ ვერ ნახავდით?

მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რომ კანონით ბავშვებს და მშობლებს ერთმანეთთან ყოფნის უფლება აქვთ და სახელმწიფომ ამას ხელი უნდა შეუწყოს ვიზის მიღების, მიგრაციის ან სხვა საკითხებში.

მაგალითი: ოჯახი იძულებულია გადასახლდეს ომიდან გაქცევის გამო. ბავშვი მაინც უნდა შეხვდეს მშობლებს.

კითხვები:

- რა მიზნით მიჰყავთ ბავშვები სხვა ქვეყანაში?
- როგორ გგონიათ, რა მოხდება თუ ბავშვი დაუკითხავად წაიყვანეს სხვა ქვეყანაში?
- რა მექანიზმი არსებობს ბავშვის საზღვარგარეთ უკანონო წაყვანის წინააღმდეგ?

მასწავლებელი უხსნის, რომ ეს ბავშვის უფლების დარღვევაა და სახელმწიფოები თანამშრომლობენ, რათა ბავშვი დაუბრუნდეს ოჯახს. საქართველოდან ბავშვის გაყვანას საზღვარგარეთ სჭირდება ორივე მშობლის ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა. ერთი მშობლის მიერ ბავშვის წაყვანისას, საჭიროა მეორე მშობლის ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობა.

მაგალითი:

რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან რუსეთში უკანონოდ წაყვანილნი არიან უკრაინელი ბავშვები. მათი რაოდენობა განსხვავდება სხვადასხვა მონაცემის მიხედვით.



ინფოგრაფიკა შექმნილია ხელოვნური ინტელექტის მიერ.

აქტივობა 2

ეს არის კვლევითი ხასიათის დავალება. ემსახურება კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებას. ამ დავალების შესრულებას სჭირდება არანაკლებ ერთი კვირისა.

გამოიკვლიეთ ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ბავშვის ოჯახში ცხოვრების უფლების აღდგენაზე/დაცვაზე. როგორ ხდება ბავშვის უფლებების აღდგენა. თქვენი აზრით, რომელია ეფექტიანი ზომები?

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია